2014 წლის 1 ივლისის

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.36). სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

ლიანა მასიკაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

ელგუჯა ჩხაიძე- წევრი, სხდომის მდივანი

ვლადიმერ კიკნაძე- წევრი

ლელა ბუალავა- მონაწილეობას იღებდა ონლაინ რეჟიმში

ქეთევან ჯაფარიძე- სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო- 17:00 საათი

დღის წესრიგი :

1. **აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” 2013 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული დასკვნის საპროექტო ვერსიის გაცნობა.**

სხდომას ესწრებოდა ადვოკატთა ასოციაციის ბუღალტერი გელა არსენაშვილი. წევრები ბუღალტერთან ერთად გაეცნენ საპროექტო დასკვნას. წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი გაეცნენ წარმოდგენილ დასკვნას და მიზანშეწონილად მიაჩნიათ უფრო დეტალურად გაიშალოს და დაკონკრეტდეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, კერძოდ, 2013 წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების ზრდა გამოისახოს სახელობითად (რა დამატებითი, ძირითადი საშუალებების შეძენა განხორციელდა).

მსჯელობის შემდეგ, წევრებმა ერთხმად მიიღეს

<u>დადგენილება:</u>

1. აუდიტორული ფირმა შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” 2013 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტორული დასკვნის საბოლოო ვერსიაში გათვალისწინებულ იქნას სხდომაზე დაფიქსირებული შენიშვნები და შესაბამისად კორექტირებული სახით მიწოდებულ იქნას წევრებისთვის.

სარევიზიო კომიისიის თავმჯდომარე- ლიანა მასიკაშვილი

წევრი- ელგუჯა ჩხაიძე

წევრი- ვლადიმერ კიკნაძე

წევრი- ლელა ბუალავა